

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

ქ. ბათუმი

„-----“ ----- 2021 წელი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, დაბა ჩაქვში, ტურბაზა „ჩაქვი“-ს მიმდებარედ მდებარე 39505,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ. 05.33.21.490); ქ. ბათუმში, მეზღვაურთა ქ. N22-ში მდებარე 8649,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ. 05.33.21.351) და ქ. ბათუმში, მეზღვაურთა ქ. N20-ში მდებარე 8156,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ. 05.33.21.350).

2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ გადაცემული უძრავი ქონებების საჯარო რეესტრში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში რეგისტრაცია.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
პროექტის სახელწოდება და სათაური

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის N2014/02 (N07/1421141580-14; 21.05.2021წ.) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში წარდგენილია შპს „აჭარა რიზორთს დეველოპმენტ კომპანიის“ 2019 წლის 31 ივლისის კორესპოდენცია, რომლითაც დასმულია საკითხი ქ. ბათუმში, დაბა ჩაქვი, ბათუმის ქუჩა N50, ტურბაზა „ჩაქვი“ მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონებისა (ს.კ 05.33.21.466) და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების (ს.კ 05.33.21.350, ს.კ 05.33.21.351, ს.კ 05.33.21.490, ს.კ 05.33.21.492) პრივატიზების შესახებ, შემდგომში მრავალფუნქციური ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით, რომელიც მოიცავს ზღვისპირა ბულვარს, სანაპირო ზოლს, ხუთვარსკვლავიან სასტუმროს, აპარტამენტებს, ბავშვთა გასართობ სივრცეებს, სპორტულ ზონას, ღამის კლუბს, რესტორნებს, ღია და დახურულ აუზებს. პროექტის ღირებულება შეადგენს 250 მილიონ ლარს.

აღნიშნულის გათვალისწინებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ 2019 წლის 17 ოქტომბრის N01-01-10/5076 კორესპოდენციით მიმართა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას და ზემოთხსენებული საინვესტიციო პროექტის განხორციელების მიზნით მოითხოვა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს განხორციელებინა ზემოაღნიშნული უძრავი ქონებების (ს.კ 05.33.21.350, ს.კ 05.33.21.351, ს.კ 05.33.21.490, ს.კ 05.33.21.492) მუნიციპალიტეტის საკუთრებად აღრიცხვისათვის აუცილებელი პროცედურები, შემდგომში მათი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 14 მაისის N1/1-1977 ბრძანებით ქ. ბათუმში, დაბა ჩაქვი ტურბაზა „ჩაქვი“-ს მიმდებარედ, სანაპიროზე მდებარე 39505 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ 05/.33.21.490) ქ. ბათუმში მეზღვაურთა ქ. N22-ში მდებარე 8649 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ 05.33.21.351) და ქ. ბათუმში მეზღვაურთა ქუჩა N20-ში მდებარე 8156 კვმ კვ.მ არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ 05.33.21.350) დამატებითი ქონების სახით საკუთრებაში გადაეცა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს.

ქ. ბათუმში, დაბა ჩაქვი, ტურბაზა „ჩაქვის“ მიმდებარე ტერიტორიის კომპლექსურად განვითარებისათვის, ზემოხსენებული საინვესტიციო პროექტის განხორციელების მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ იგეგმება ზემოაღნიშნული 3 (სამი) ერთეული მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.33.21.490, ს.კ. 05.33.21.351 და ს.კ. 05.33.21.350) განკარგვა, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, ადგილობრივი ან/და უცხოური ინვესტიციების მოზიდვით. შემოთავაზებული საინვესტიციო წინადადებების მასშტაბურობის, ტერიტორიის ერთიანი კონცეფციის განვითარების ხელშეწყობის, ლანდშაფტურ-რეკრიაციული და რეკრიაციული ზონის შენარჩუნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია და ითხოვს განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემა.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქ. ბათუმში, დაბა ჩაქვში, ტუბაზა „ჩაქვი“-ს მიმდებარე ტერიტორიის ტურისტული ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების, ინვესტიციების მოზიდვის საკითხში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერა და თანადგომა, პროექტის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით მოთხოვნილი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის

მერიის მუნიციპალური ქონების და

სერვისების მართვის სამსახურის

უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

დავით კოპინაძე